50

შრომითი დიდებით შევეგებოთ

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავსა და სკკპ XXIV ყრილობას

XXIV

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 ივლისი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 169 (14773)

საჭიროა წინ სვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკების შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფის შესახებ“.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკების შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფისა და საზოგადოებრივი წარმოების ზრდით საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მოქმედ შრომის ანაზღაურების სისტემაში შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი.

დადგენილია, რომ მემცენარეობაში ბრიგადების (რგოლების) მუშათა შრომის ანაზღაურება შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და მიღებული პროდუქციისათვის შეიძლება წარმოებდეს სანარდო-საპრემიო სისტემით. ბრიგადაში (რგოლში) შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს სანარდო ფასდებებით, რომელთა განსაზღვრისას უნდა ხელმძღვანელობდნენ სატარიფო განაკვეთებითა და გამომუშავების ნორმებით. მიღებული პროდუქციისათვის მუშათა შრომის ანაზღაურება ხდება შემდეგნაირად: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების წლიური გეგმის შესრულების თვითეული პროცენტისათვის 80 პროცენტს ზევით მუშას ერიცხება ბრიგადაში (რგოლში) შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის კუთვნილი გასამრჯელოს 1,25 პროცენტი და აღნიშნული გასამრჯელოს თითო პროცენტი ამ გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის.

არასაკმაო ტენიანობის რაიონებში განლაგებულ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ნებართვით შეიძლება მემცენარეობის მიღებული პროდუქციისათვის მუშების შრომის ანაზღაურება ხდებოდეს იმავე წესით: გასამრჯელოს 0,5 პროცენტი დაერიცხოს პროდუქციის წარმოების წლიური გეგმის ყოველი პროცენტის შესრულებისათვის 50 პროცენტს ზევით და ხელფასის თითო პროცენტი გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის.

მუშათა შრომის ანაზღაურება მიღებული პროდუქციისათვის უნდა წარმოებდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

ბრიგადებში (რგოლებში) სადაც მუშათა შრომის ანაზღაურება მემცენარეობაში აკორდულ-საპრემიო სისტემით ხდება, მიღებული პროდუქციისათვის ანგარიშსწორებამდე შეიძლება გამოიყენონ მუშათა დროებრივი (უგანრიგო) შრომის ანაზღაურება გამომუშავებული დროისათვის. შრომის დროებრივი ანაზღაურება უნდა წარმოებდეს მექანიზებულ სამუშაოებზე IV თანრიგის სატარიფო განაკვეთით და ცხენისა და ხელის სამუშაოებზე III-IV თანრიგების სატარიფო განაკვეთებით, ხოლო მრწყველებისა — შესაბამისი სატარიფო ცხრილის V თანრიგის სატარიფო განაკვეთით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მეცხოველეობაში მუშათა შრომის ანაზღაურება ხდება ფასდებებით ერთ მუშაზე სატარიფო განაკვეთის (სატარიფო ფონდის) და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების (გამომუშავების) დამტკიცებული წლიური ნორმის 125 პროცენტის ანგარიშით.

ერთ მუშაზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების (გამომუშავების) ნორმებსა და პროდუქციის ფასდებებს მეურნეობაში ადგენენ პროფკავშირის მუშათა კომიტეტთან შეთანხმებით, ამასთან ხელმძღვანელობენ პირუტყვის მოვლა-პატრონობის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით, ითვალისწინებენ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის დონეს, მოვლა-შენახვის ტიპს, შრომის პროცესების მექანიზაციის დონეს და სხვა პირობებს. ამ ნორმებს ამტკიცებენ ზემდგომი ორგანიზაციები.

სამინისტროებმა და უწყებებმა, სოფლის მეურნეობის სამხარეო, საოლქო და რაიონულმა სამმართველოებმა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტებმა უნდა უზრუნველყონ იმის კონტროლი, რომ ერთ მუშაზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების წლიური ნორმის გაანგარიშებებში პირუტყვის პროდუქტიულობა არ იყოს იმ წლის საგეგმო პროდუქტიულობაზე ნაკლები, რომლისთვისაც ნორმა წესდება, აგრეთვე კარ დაუშვან, რომ ერთნაირ პირობებში მყოფ მეურნეობებს ჰქონდეთ ფასდებების სხვადასხვა დონე. შემდგომში დაწესებული ფასდებები უნდა გადაისინჯოს წარმოების მექანიზაციის, ტექნოლოგიის დონისა და სხვა პირობების შეცვლის კვალობაზე.

მეურნეობათა დირექტორებს უფლება მიეცათ განსაზღვრული ვადით დაუწესონ შრომის დამატებითი ანაზღაურება (წახალისება) მეცხოველეობის მუშებს პროდუქტიულობის გადიდებისათვის, გამოზამთრებისა და მეცხოველეობაში დაძაბული მუშაობის სხვა პერიოდებში პირუტყვისა და ფრინველის უფრო სრულად შენარჩუნებისათვის. წელიწადში მუშის შრომის დამატებითი ანაზღაურების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მის ერთი თვის გასამრჯელოს. ამ დამატებითი ანაზღაურების კონკრეტულ მაჩვენებლებსა და ოდენობას ცალკეულ სახეობათა სამუშაოების მიხედვით, აგრეთვე მისი გამოყენების პირობებს აწესებს მეურნეობის დირექტორი პროფკავშირის მუშათა კომიტეტთან შეთანხმებით.

ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაცვისა და კარგად გამოყენებისათვის ტრაქტორისტ-მემანქანეებს (წელიწადში ერთხელ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დამთავრების შემდეგ) დაერიცხოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ნორმებით გათვალისწინებული დაზოგული სახსრების 40 პროცენტი, ხოლო ბრიგადირებსა და მათს თანაშემწეებს — 10 პროცენტი იმ პირობით, თუ თავიანთი მანქანებით შეასრულეს სამუშაოთა დაწესებული წლიური მოცულობა. ახალი ტრაქტორებისა და მანქანების ექსპლოატაციის დროს ზემოაღნიშნული თანხები პირველ ორ წელიწადში გაიცემა ნახევარი ოდენობით, ხოლო 80 პროცენტზე მეტად ამორტიზებული ტრაქტორებისა და მანქანების ექსპლოატაციის დროს — ერთნახევარი ოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ პრემიების მოქმედი წესის ნაცვლად შემოიღონ მუშათა პრემირება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ბრიგადაში (რგოლში) მუშის მიერ მიღებული წლიური გასამრჯელოს 1 პროცენტი ზემოაღნიშნული გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის. წარმოების იმ დარგებში, სადაც პროდუქციის რეალიზაცია უშუალოდ ბრიგადას შეუძლია (მებოსტნეობა, მებაღეობა, ტექნიკური კულტურების წარმოება, მეცხოველეობა და მეფრინველეობა — პირუტყვის სუქება და საძოვრული სუქება და სხვ.), ზემოაღნიშნული პრემია იმავე წესითა და ოდენობით შეიძლება მუშას გადაუხადონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციისათვის, აგრეთვე ცალკეულ მეურნეობებში, რომლებმაც მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის (მეფრინველეობის) პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებლებს, მუშათა პრემიების ოდენობა შეიძლება გაიზარდოს წლიური გასამრჯელოს 2 პროცენტამდე ბრიგადაში (რგოლში) პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ დააწესეს განყოფილებებისა და ფერმების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების პრემირება მიღებული მოგებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მოგების მიღებისათვის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების (მათ შორის განყოფილებებისა და ფერმების მუშაკების) პრემირებისათვის. უნდა დაირიცხოს მოგების 2,5 პროცენტი (მთლიან სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საწარმოებში, მას შემდეგ, რაც მოგებიდან გამოქვითავენ ფონდების საფასურს).

მუშაკებისათვის პრემიების დარიცხვის დროს ითვალისწინებენ მეურნეობის, განყოფილებების, ფერმებისა და სხვა საწარმოო ქვეგანყოფების მუშაობის საერთო შედეგებს: დირექტორებს, მათს მოადგილეებს, მთავარ სპეციალისტებსა და მთავარ ბუღალტრებს პრემიები ეძლევათ ზემდგომი ორგანიზაციების განკარგულებით, ხოლო დანარჩენ მუშაკებს — მეურნეობის დირექტორის განკარგულებით. იმ პრემიების ოდენობა, რომლებსაც ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს მიღებული მოგებისათვის აძლევენ ზემდგომი ორგანოს (მეურნეობის დირექტორის) გადაწყვეტილებით, შეიძლება 50 პროცენტამდე შემცირდეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხორცის, რძის (ნატურით) მიყიდვის გეგმის შეუსრულებლობისათვის, ხოლო სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში — ძირითადი პროდუქციის გეგმის შეუსრულებლობისა და სხვა საწარმოო ხარვეზებისათვის.

დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ცალკეული კულტურების მოხდვით (ბრინჯი, წიწიბურა, ფეტვი, მზესუმზირა და სხვ.) მუშებისათვის ყველა სახეობის დამატებითი ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ წლიური გასამრჯელოს 60 პროცენტს, რომელიც მუშამ მიიღო ბრიგადაში ამ კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოთა შესრულებული მოცულობისათვის. მიღებული პროდუქციისათვის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების ყველა სახეობის პრემიები და დამატებანი რეალიზაციის (წარმოების) გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, მათ შორის ცალკეული კულტურების (ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა და სხვა) დადგენილი პრემიების ჩათვლით, მიღების წყაროს მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივი სარგოს მიხედვით წლის მანძილზე დარიცხული ხელფასის 60 პროცენტს, ხოლო ყამირი და ნახვენი მიწების რაიონებში — 70 პროცენტს. ყველა სხვა მუშაკისა — 40 პროცენტს.

დადგენილია, რომ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ცხენისა და ხელის, სამეურნეო და სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებულ ტრაქტორისტ-მემანქანეთა შრომის ანაზღაურება წლის ყველა პერიოდში ხდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 311 დადგენილების 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით (ესე იგი ტრაქტორისტ-მემანქანეთა სატარიფო ცხრილის II თანრიგის განაკვეთით იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაოს სატარიფო განაკვეთი ზემოაღნიშნულ თანრიგის სატარიფო განაკვეთზე ნაკლებია).

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა იმ მუშებზე, რომლებიც სამმთობაბარო საძოვრებზე უვლიან მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ცხენსა და ცხვარს, ვრცელდება შედავთი, რომელიც დაწესებულია მწყემსებისათვის მათი 7-15 წლის ასაკამდე ბავშვების სწავლებისა და შენახვისათვის სკოლა-ინტერნატებსა თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში სრული სახელმწიფო უზრუნველყოფით.

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

ᲥᲡᲔᲗᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში გრძელდება მომავალი სკკპ XXIV ყრილობისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ კოლექტივი არაერთხელ ყოფილა ახლის, პროგრესულის თაოსანი. აი ახლაც წარმოების მუშაკები ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას და გადაწყვიტეს: მიმდინარე წლის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის. დავალების გადამეტებით გაასაღონ 150 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში — 40 ათასი მანეთის პროდუქცია. ხუთწლეულის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 ათას ცალზე მეტი გამშვები, ხოლო 1971 წლის პირველ კვარტალში 2500 ცალი. მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, ხოლო 1971 წლის პირველ კვარტალში — 1 პროცენტით. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიმდინარე წლის დამლევამდე დაზოგონ 32 ათასი მანეთი, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში — 8 ათასი მანეთი. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის შედეგად მიიღონ 50 ათასი მანეთი ეკონომიური ეფექტი, ხოლო 1971 წლის პირველ კვარტალში — 15 ათასი მანეთი.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი: დავალების გადამეტებით მიმდინარე წელს გამოუშვან 60 ათასი ტონა ბამბეულის ქსოვილი, ხოლო 1971 წლის პირველ კვარტალში — 15 ტონა. მისცენ სახელმწიფოს 250 ათასი ცალით მეტი ტრიკოტაჟის ნაწარმი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ერთი პროცენტით გაუუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. დაზოგონ მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 70 ტონა ბამბა, 400 ტონა პირობითი სათბობი, ექვსი პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება მიმდინარე წელს, ხოლო 1971 წელს — 7 პროცენტით. შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება 0,4 პროცენტით. პარტიის XXIV ყრილობის წინ ერთ დღეს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულით.

თბილისის ქარხანა „გაზაპარატი“: მიმდინარე წელს დავალების გადამეტებით გამოუშვან ახალი ნიმუშის 300 გაზაპარატი. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად დაზოგონ ხუთი ათასი მანეთი. 1971 წლის პირველი კვარტალის დავალება შეასრულონ 25 თებერვლისათვის.

ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲐ — ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲜᲔ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲜᲑᲛᲠᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲧᲣᲚᲐᲠᲗᲣᲜᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲠᲗᲘᲗ ᲐᲓᲒᲝᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲝᲠᲘᲕᲔᲑᲔᲜ ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘᲡ. ᲛᲐᲗᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 30-ᲯᲘ ᲛᲔᲢ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲓᲐᲠᲝᲗᲣᲡᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲡᲐᲥᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘᲡ“ 40 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲓᲐ. ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ „ᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲣᲗᲘᲡ ᲖᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲝᲠᲘᲕᲔᲑᲐ 6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲗᲣᲗᲘᲡ ᲖᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘ. ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲨᲘ: ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘ ᲣᲙᲜᲝᲚ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘ. ᲘᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების გადიდების, დამზადების გაუმჯობესებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოებისა და დამზადების მოცულობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვერ აკმაყოფილებს ამ პროდუქტებზე ქვეყნის მოსახლეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებებს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანები არადამაკმაყოფილებლად უძღვებიან კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების ორგანიზაციის საქმეს. ამ პროდუქტების წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ხორციელდება ძალიან ნელა. საკმარისად არ იყენებენ ბოსტნეულისა და კარტოფილის მოყვანისათვის სარწყავ მიწებსა და ჭალებს, თავმინებებულია მეთესლეობა, განსაკუთრებით კარტოფილისა, უაღრესად დაბალია მებოსტნეობისა და მეხილეობის მექანიზაციის დონე, ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესებში ცოტა შეაქვთ სასუქები, უზრუნველყოფილი არ არის ნათესების დროული მოვლა. სუსტად წარმოებს ბრძოლა მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ. კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის მოსავლიანობა ბევრ მეურნეობაში კვლავ დაბალია, პროდუქციის სასაქონლო ხარისხი ხშირად ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, მთელ რიგ შემთხვევებში ამ კულტურების მოვლა-მოყვანა ზარალიანია.

სავაჭრო და დამამზადებელი ორგანიზაციები, აგრეთვე საგეგმო ორგანოები ხუსტად სწაკლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას და სერიოზულ ნაკლოვანებებს უშვებენ ხილბოსტნეულის პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის დაგეგმვაში. შემცირებულია კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა როლი და როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ისე დამამზადებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის.

მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში პარტიული და საბჭოთა ორგანოები ურიგდებიან სერიოზულ ნაკლოვანებებს ხილბოსტნეულის პროდუქციის წარმოებაში, დამზადებასა და ვაჭრობაში, იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების ცალკეული ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს განიხილონ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების გადიდების, დამზადების გაუმჯობესებისა და ვაჭრობის, საერთოსაკავშირო ფონდში კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დადგენილ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფის და ამ პროდუქტებით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგების საკითხი, განახორციელონ ამ საკითხზე კონკრეტული ღონისძიებანი და გააღიონ ამ საქმისათვის ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებულნი არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაიზარდოს კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და ყურძნის მოსავლიანობა, გადიდეს მათი საერთო მოსავალი, გაფართოვდეს ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს ხარისხი იმ საფუძველზე, რომ გამოიყენონ ამ კულტურების წარმოების მოწინავე თანამედროვე ტექნოლოგია, წარმოების სპეციალიზაცია და ინტენსიფიკაცია, გადავიდნენ მთლიან ჯიშობრივ თესლზე, დათესონ ბოსტნეული საუკეთესო, ძირითადად სარწყავ მიწებზე, სრული დოზით შეიტანონ ორგანული და მინერალური სასუქები ბოსტნეულის ნათესებში. საჭიროა გაუმჯობესდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის მაღალხარისხოვანი სანაგავი მასალისა და დარაიონებული ჯიშების თესლის მოყვანის ორგანიზაცია, აგრეთვე განსორციელდეს ღონისძიებანი, რათა სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში განვითარდეს გადასამუშავებელი საწარმოები და მოეწყოს კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის ხანგრძლივი შენახვა მათი წარმოების ადგილებში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაევალა შეიმუშაოს და უახლოეს წლებში განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ყველაზე ხელშემყობ ბუნებრივ-კლიმატურ ზონებში შეიქმნას საადრეო და სითბოს მოყვარული ბოსტნეულის, აგრეთვე თავიანი ხახვისა და ნივრის სასაქონლო წარმოების მსხვილი ბაზები ქვეყნის დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მოსამარაგებლად.

დადგენილია, რომ 1971 წლიდან ბოსტნეულის (პამიდორის, კიტრისა და ხახვის გამოყოფით), აგრეთვე ბაღჩეულის, ხილისა და ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის საერთო მოცულობა მტკიცდება სახალხო-სამეურნეო გეგმაში მოკავშირე რესპუბლიკებზე განაწილებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დააზუსტონ სამომხმარებლო კოოპერაციის, სავაჭრო ორგანიზაციებისა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოების დამზადებითი საქმიანობის ზონები, რომ თვითეული ზონაში კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციის შესყიდვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როგორც წესი, ხორციელდებოდეს ერთი დამამზადებლის მიერ.

აღნიშნული ზონების დაზუსტების დროს უნდა გაითვალისწინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმაგრება ხანგრძლივი დროით გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებსა და დამამზადებელი ორგანიზაციებზე, ამასთან მიიღონ მხედველობაში კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოებაში მეურნეობათა სპეციალიზაციის განვითარება, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უშუალო კავშირის განმტკიცება და გაფართოება დამამზადებელ, სავაჭრო და გადამმუშავებელ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ დამამზადებლებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მიმაგრებულ ზონაში მთელი სასაქონლო ხილბოსტნეულის პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაციისა და მიღების უზრუნველყოფისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ძირეულად გააუმჯობესონ კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით ვაჭრობა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი ხილბოსტნეულის მაღაზიებისა და პავილიონების ქსელის გაფართოებისა და ვაჭრობის პროგრესული ფორმების ფართოდ გამოყენების გზით (გარეცხილი, დაფასოებული საქონლის გაყიდვის გადიდება და სხვ.). ყოველი ღონისძიებით განავითარონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დიდ საწარმოთა პირდაპირი კავშირი ქალაქებისა და მუშათა დაბების ახლო განლაგებულ საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან, კარტოფილის, ბოსტნეულის და ხილის უმუალო მიტანა მაღაზიებში, სასადილოებსა და რესტორნებში, აგრეთვე ამ პროდუქტებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფირმო ვაჭრობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

ცენტროსოიუზის გამგეობას მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით დაევალა მთელ რიგ დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მოაწყოს ახალი და გადამუშავებული სახის კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით ვაჭრობა, ხოლო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა სამომხმარებლო კოოპერაციას მისცენ შენობები და გაუწიონ სხვა საჭირო დახმარება ამ ვაჭრობის ორგანიზაციაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალათ ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების, მათ შორის საბანკო კრედიტების ხარჯზე, უზრუნველყონ 1971-1975 წლებში ბოსტნეულ-კარტოფილისაცავების, ხილსაცავების, მაცივრებისა და ბოსტნეულისა და ხილის გადასამუშავებელ საწარმოთა მშენებლობა.

მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ცენტროსოიუზის წინადადება იმის შესახებ, რომ 1971-1975 წლებში დამატებით აშენდეს სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის მისაღებ-დამამზადებელი პუნქტები, ბოსტნეულ-კარტოფილსაცავები, ხილსაცავები, დასამწილეებელ-დასამარილებელი პუნქტები და სასოფლო მისაღები პუნქტები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა გაითვალისწინოს 1971 წლიდან სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების სამშენებლო ორგანიზაციების საიჯარო სამუშაოთა გეგმებში ბოსტნეულ-კარტოფილსაცავების, ხილსაცავების, გადასამუშავებელი საწარმოებისა და ხილბოსტნეულის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა შესრულება, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ამოცანათა განხორციელებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების პროექტებში გათვალისწინონ დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულ-კარტოფილსაცავებისა და ხილსაცავების ამოქმედების დავალებანი ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობის, მასალებისა და სხვა მატერიალური რესურსების გამოყოფა კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის დამზადების, გადაზიდვის, გადამუშავებისა და

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული).

საზოგადოებრივ კოოპერაციის დამამზადებელ ორგანიზაციებს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნება ეძლევათ, დაწყებული 1970 წლის მოსავლის შესყიდვიდან, გადარიცხონ ხოლმე კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციის დამზადების, გადაზიდვის, გადამუშავებისა და შენახვისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაზე მათ მიერ შესასყიდი ფასებით დამზადებული კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის და ხილის საერთო ღირებულების 3 პროცენტი და ეს თანხები შეიტანონ საბითუმო-გასაცემ ფასებში ზედნადები ხარჯების დადგენილი ნორმების გადამტებით.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზს წინადადება მიეცათ უფრო ფართოდ გამოიყენონ საბანკო კრედიტი მისაღებ-გადამამზადებელი პუნქტების, ბოსტნეულ-კარტოფილსაცავების, ხილსაცავებისა და გადასამუშავებელი საწარმოების მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის საშენებლო ბანკმა გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმების პროექტებში უნდა გაითვალისწინონ საჭირო თანხები აღნიშნულ ღონისძიებათა დაკრედიტებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება ვალდებულნი არიან სახალხო-საეკონომო გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ საშენი მასალების, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების გამოყოფა, რომლებიც საჭიროა დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების ხილბოსტნეულის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისათვის არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე (მათ შორის ბანკების პროცენტული ანარიცხები და კრედიტები).

კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოებაში და ამ პროდუქტებით მოსახლეობისა და გადასამუშავებელი მრეწველობის გეგმაზომიერ უზრუნველყოფაში სახელშეკრულებო ურთიერთობის როლი გაძლიერების მიზნით, აგრეთვე სახელშეკრულებო ურთიერთობის სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების განსამტკიცებლად სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს დავალება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, ცენტროსოიუზისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხილბოსტნეულის პროდუქციისა და კარტოფილის კონტრაქტაციის ახალი ტიპური ხელშეკრულება, გაითვალისწინოს მასში ხელშეკრულებათა დადება, როგორც წესი, მთელი რიგი წლებისათვის, მხარეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება ნედლეულის ბაზის განვითარებით, გადასამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა ყველაზე სრული გამოყენება, ტარის მრავალჯერადი გამოყენება, აგრეთვე მხარეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ამაღლება ურთიერთ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ მოაწყონ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის მოვლა-მოყვანის, ასაღება, გადასამუშავებელი და შესანახი ტექნოლოგიური მოწყობილობის, აგრეგატების, მანქანებისა და ხაზების წარმოება და კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, გადასამუშავებელი მრეწველობის საწარმოებისათვის მათი მიწოდება.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ განაახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა 1971-1975 წლებში გაადიდონ მებოსტნეობისათვის, მეკარტოფილეობისათვის, მებაღეობისა და მევენახეობისათვის მაანგარეთა და მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებების, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებების, აგრეთვე სინთეზური შუქტაბალიზებული აფსკისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა პოლიმერული მასალების წარმოება და მიწოდება.

ბოსტნეულისა და ხილის დამზადებისა და რეალიზაციისათვის ტარიფთა და შესაფუთი მასალების უზრუნველსაყოფად კონკრეტული დავალებანი მიეცათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

სსრ კავშირის სახმომარაგებას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, გზათა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან, ცენტროსოიუზთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაევალა შეიმუშაოს და განახორციელოს კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის გადაზიდვისათვის კონტეინერების ფართოდ გამოყენების ღონისძიებანი.

გზათა სამინისტროს დაევალა განიხილოს რკინიგზის ტრანსპორტით დასაბრუნებელი ხილბოსტნეულის ტარის გადაზიდვის დროს შეღავათიანი ტარიფების გამოყენების გაფართოების საკითხი; განახორციელოს ხილბოსტნეულის ტვირთების ადგილზე მიტანის ვადების შემცირების ღონისძიებანი, აამაღლოს რკინიგზების პასუხისმგებლობა გადაზიდვის დროს ხილბოსტნეულის პროდუქციის შენახვისათვის, უზრუნველყოს ხილბოსტნეულის პროდუქციის დროული გადაზიდვა ტვირთის წარდგენით და ამისათვის საჭირო რადენობით გამოაჩყოს იზოთერმული ვაგონები და მექანიზებული სექციები ტვირთგამზავნთა განაცხადებით.

სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს თვითმფრინავებით საადრეო ბოსტნეულისა და ხილის ადგილზე მიტანა, აგრეთვე განახორციელოს ხილბოსტნეულის პროდუქციის გადაზიდვის გადიდების ღონისძიებანი დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების, სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შეკვეთებით ქვეყნის ძირითად სამრეწველო ცენტრებში, ამასთან გაითვალისწინოს საჭირო შემთხვევებში ამ მიზნებისათვის თვითმფრინავთა დამატებითი რეისები.

დადგენილია, რომ თვით.მფრინავებით ბოსტნეულისა და ხილის გადაზიდვის ანაზღაურება წარმოებს სატვირთო გადაზიდვების მოქმედი ტარიფებით ერთ გზობაზე გადაზიდვის ფაქტიური მანძილისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, დაწყებული 1970 წლის მოსავლის შესყიდვიდან, კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი, რომლებსაც ადგილზე მიიტანენ (ჩაბარებენ) კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობანი დამამზადებელ ორგანიზაციებს, უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციების საბითუმო ბაზებსა და გადასამუშავებელი მრეწველობის საწარმოებს, ნაზღაურდება შესასყიდი ფასებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება მიეცათ საჭიროების შემთხვევაში შეინარჩუნონ ბოსტნეულისა და ხილის ანაზღაურების მოქმედი წესი საცალო ფასებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ ოღქის (მხარის) ფარგლებში სავაჭრო ორგანიზაციათა საბითუმო ბაზებში მათი ჩაბარებისას დაწესებული ფასჩამოკლების გამოქვითვით.

შენარჩუნებულია კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის ანაზღაურების წესი, რომლებსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები მიიტანენ უშუალოდ მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებში, საცალო ფასებში სავაჭრო ფასჩამოკლების გამოქვითვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაონ და ძალაში შეიყვანონ, დაწყებული 1970 წლის მოსავლის შესყიდვიდან, ბოსტნეულის ახალი შესასყიდი ფასები, დიფერენცირებულნი ზონების, დამწიფების ვადებისა და ხარისხის მიხედვით. ბოსტნეულის შესასყიდი ფასები დაწესდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით არანაკლებ 15 პროცენტისა საშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკაში (რუსეთის სფსრ-ში საშუალოდ ზონის მიხედვით), ხოლო ხახვისა და ნივრისა — ძირითად სასაკონლო რაიონებში — არანაკლებ 25 პროცენტისა.

იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი შესასყიდი ფასები 15-ზე მეტი პროცენტით უზრუნველყოფენ ბოსტნეულის წარმოების რენტაბელობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ასალი შესასყიდი ფასები უნდა დავაწესოთ ისე, რომ შევინარჩუნოთ ტონა ბოსტნეულის საშუალო გადასახადელი, როცა ბოსტნეულს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან ყიდულობს სახელმწიფო მოქმედი შესასყიდი ფასებით და საცალო ფასებით, დაწესებული შეღავათებისა და სატრანსპორტო ხარჯების გამოქვითვით (კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რომ ეწვრეს საცალო ფასებით ანგარიშწორებისას).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს დაევალათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგინონ წინადადებანი (წარმოების ზონებისა და [illegible] ადგილების მიხედვით) კარტოფილის დიფერენცირებული [illegible] [illegible], რომ არ დაახარისხონ ჩვეულებრივ და მსხვილ გადარჩენულ კარტოფილად), რომელსაც სახელმწიფო ყიდულობს კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან. კარტოფილის შესასყიდი ფასები შეიმუშაონ იმის გათვალისწინებით, რომ შეინარჩუნონ 1967-1968 წლებში დაწესებული ტონა კარტოფილის საშუალო გადასახდელი, როცა სახელმწიფო ყიდულობს მას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მოქმედი შესასყიდი ფასებით და საცალო ფასებით დაწესებული შეღავათების გამოქვითვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დააწესონ ძვირფასი ჯიშების სუფრის კარტოფილის გადიდებული შესასყიდი ფასები (ან ფასების დანამატი) რესპუბლიკის შიგნით შესყიდვისა და რეალიზაციის დროს. ძვირფასი ჯიშების სუფრის კარტოფილის რეალიზაცია საცალო ქსელში აწარმოონ შესაბამისად გადიდებული საცალო ფასებით.

დაწყებული 1970 წლის მოსავლიდან, კარტოფილის საცალო ფასებს აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დიფერენცირებულად ზონებისა და წლის პერიოდების მიხედვით.

საჭიროა ყოველნაირად გავაფართოოთ ნაკლებად გავრცელებული ბოსტნეულის (პატისონი, ისპანახი, ნიახური, სალათა, ძირთვორა და სხვ.) წარმოება და გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომარაგება ამ ბოსტნეულით.

1970 და 1971 წლებში საზოგადოებრივი კვების სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს ნება ეძლევათ კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისაგან, აგრეთვე მოსახლეობისაგან შეისყიდონ პატისონი, ისპანახი, ნიახური, სალათა, ძირთვორა და სხვა ნაკლებადგავრცელებული ბოსტნეული იმ ფასებით, რომლებიც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება; დააწესონ საცალო ფასები ნაკლებად გავრცელებულ ბოსტნეულზე მათზე მოთხოვნილებისა და მათი მიწოდების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ეს ფასები ერთიანი უნდა იყოს ქალაქის ფარგლებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა უზრუნველყოს კონტროლი მოკავშირე რესპუბლიკებში კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დაწესებული და მიღებული შესასყიდი და საცალო ფასების დონისადმი.

ბოსტნეულის მეთესლეობის ძირეული გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ გადაჭრან საკითხი ბოსტნეულის მეთესლეობის სპეციალიზებულ სახელმწიფო მეურნეობათა შექმნის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის კლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

ცენტრალური კომიტეტის კლენუმი ხაზს უსვამს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში დიდი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის დიდ მეცადინეობას, მათი კოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ღონის ამაღლებას, ძალაქისა და სოფლის მუშათა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის კლენუმის დადგენილებიდან.

ჩვენი მთავარი საზრუნავი

ბარტის რაიკომში საქმეს და საერთოდ მსჯელობის საგანს რა გამოლევს, მაგრამ სულ სხვა გამოცოცხლებაა აქ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ, რომელმაც საბჭოთა ხალხს დაუსახა ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის დარგში.

ჩვენი რაიონის მოსახლეობა მისდევს მომთაბარე მეცხვარეობას; ცხვარი იყო და არის მთიელი კაცის დოვლათი და სიამაყე. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰყავთ 120 ათასზე მეტი ცხვარი. დუშელმა მეცხვარეებმა და მეცხოველეობის სპეციალისტებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სერიოზულ წარმატებებს მძაღწიეს პირუტყვის სულადობის ზრდასა და პროდუქტიულობის ამაღლებაში. წლეულს საუკეთესოდ ჩატარდა დოღი. ყოველ 100 ნერწზე რაიონში საშუალოდ მიღებულია 91 ბატკანი ნაცვლად 85-სა. სულ საზოგადოებრივ ფარებს ამ გაზაფხულზე შეემატა 42 ათასზე მეტი ბატკანი. დიდი გადამეტებით შესრულდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა. 6 თვეში წარმოებულ იქნა 690 ტონა ხორცი, 1.644 ტონა რძე, 140 ტონა მატყლი, ათეულ ათასობით ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები, ამასთან შემცირდა მიღებული პროდუქციის თვითღირებულება.

ასევე გადამეტებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის და ტყავნედლეულის მიყიდვის გეგმები. საგრძნობლად იკლო პირუტყვის დაცვამ, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

რა თქმა უნდა ეს წარმატებები არ იქნებოდა, საზოგადოებრივ მეურნეობებში ათასობით ადამიანი რომ არ შრომობდეს. მათ შორის არიან მოწინავე მეცხვარეები, სოციალისტური შრომის გმირი, კომუნისტი ყ. გაგაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ნარიმანაშვილი, ბაზალეთის კოლმეურნეობის ფერმის მწყემსავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. კედელაშვილი. წლითიწლობით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ არაგვისპირის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკები. შარშან არაგვისპირელი მევენახეები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და ახალი გიგანტური ვალდებულებანი იკისრეს, რაც პირნათლად გაანაღდეს: ყოველ 100 ნერგზე 98 ბატკანი მიიღეს ნაცვლად 85-სა და თვითეულ ცხვარზე საგაზაფხულოდ 1,5 კილოგრამი მატყლი გაპარსეს;

ამ წარმატების წყაროა მტკიცე საკვები ბაზა, კარგი ბინები მწყემსებისა და ცხვრისათვის და, რაც მთავარია, ადამიანთა შემოქმედებითი შრომა, საქმისადმი ერთგულება. რაიონში ცნობილი არიან მწყემსები მ. წითელაური, ს. ბედმთვილი, მ. ჭინჭარაული და სხვები. მათთან ერთად ზამთარ-ზაფხულ ჭირსა და ლხინს იყოფს კომუნისტი ვ. ყორბესაშვილი, რომელიც კომუნისტებმა პარტიულ ჯგუფის ორგანიზატორად აირჩიეს. საერთოდ, უკანასკნელ ხანს რაიონში გაიზარდა საკოლმეურნეო და საბრიგადო პრაქტიკული ორგანიზაციების რიცხვი. თვითეულ კოლმეურნეობაში ამჟამად საშუალოდ 42 კომუნისტი მოდის, ხოლო საბჭოთა მეურნეობაში — 100. აღსანიშნავია, რომ პრიგეულადი პარტიული ორგანიზაციების 77 მდივნიდან უმაღლესი, დაუშთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლებით არის 69 ამხანაგი.

ყოველივე ამან კიდევ უფრო გააძლიერა პარტიული ორგანიზაციების გავლენა საზოგადოებრივ მეურნეობათა კოლექტივებზე. პარტიის რაიკომი და მისი ბიუროს ყოველდღიურად ზრუნავენ პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. საბოლოოდ. ეს ნიშნავს თვითეული კომუნისტის პირადი მაგალითის ამაღლებას, მათი პასუხისმგებლობის გადიდებას როგორც წარმოებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ყოფაში.

ჩვენი შემდგომი წარმატებები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად გავზრდით პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ავანგარდულ როლს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საქმეში.

გასაკეთებელი კი ჯერ კიდევ ბევრია. თავის მოტყუება იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. ამის შესახებ კარგად თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე.

რაიკომის პლენუმებზე, რაიონული აქტივისა თუ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, აგრეთვე ცალკეულ. კომუნისტთა გამოსვლებში ბევრჯერ გვსმენია კრიტიკული შენიშვნები მეცხვარეობაში გამოუყენებელი რეზერვებისა და სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ახლა, როცა ხელთ გვაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, გვინდა მკითხველის ყურადღება სწორედ ამ საკითხებზე გავამახვილოთ.

როგორც ცნობილია, მეცხოველეობის აღმავლობის ძირითადი პირობაა მტკიცე საკვები ბაზა. ჩვენი რაიონის ცხვარი ასე თუ ისე უზრუნველყოფილია იაფი საკვებით. ნოღაეთის ზამთრის საძოვრებზე მეცხვარეები ყოველ ზაფხულს ამზადებენ ასობით ტონა თივას, ქმნიან საკვების სადაზღვევო მარაგს. მაგრამ საქმე ის არის, რომ წლითიწლობით მცირდება საძოვრების ფართობი, განსაკუთრებით ბაჯიგნის მასივში, სუხოკუმსკის რაიონში, სადაც ინტენსიურად ვითარდება ნავთობის მრეწველობა. ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, წინ ვერ აღვუდგებით, მაგრამ საჭიროა ვეფიქრებოდეთ დანარჩენ ფართობს, რათა შეექმნათ მაღალპროდუქტიული კულტურული საძოვრები. მაგრამ სინამდვილეში ამ საქმეს ყურადღება არ ექცევა. ნოღაეთის ტრამალების ბევრ უბანში გავრცელდა სარეველა ბალახი „ბურღა", რომელიც დიდ ზიანს აყენებს როგორც საძოვრებს, ისე უშუალოდ ცხვარს, მისი მოსპობა კი კოლმეურნეობებს არ ძალუძთ. ამ გადაუდებელ საქმეში საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩარევა, ანალოგიური მდგომარეობაა საზაფხულო იალაღებზეც, სადაც ათობით ჰექტარი დაიკავა სარეველა ბალახმა „შხამამ".

ჩვენი აზრით, თანამედროვე ქიმიის პირობებში ძნელი არ უნდა იყოს მავნე ბალახების მოსპობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს წლებში დავკარგავთ ასობით ჰექტარ საძოვრებს, ეს კი დიდ ზიანს მიაყენებს მეცხვარეობის განვითარების საქმეს.

ჩვენთვის კვლავ ვიწრო ადგილად რჩება საკვების მოპობება რაიონის შიგნით, რის შედეგადაც კოლმეურნეობები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაკვებად ყოველწლიურად სხვა რაიონებსა და რესპუბლიკებში ყიდულობენ უხეშ საკვებს, რომელიც დიდ ტვირთად აწვება მეურნეობათა ეკონომიკას, აძვირებს პროდუქციას.

დადგა დრო, როცა ნაწილობრივ უნდა უკუვაგდოთ საკვების დამზადების მამაპაპური საშუალებანი. საჭიროა მთებში, სადაც სათობებია გაშლილი, გავიყვანოთ საავტომობილო გზები, როგორც ეს ჩვენი რაიონის ჭართლისა და მაღაროსკარის კოლმეურნეობებმა გააკეთეს, ამასთან ავაგოთ საბაგირო გზები, რომლებითაც შეგვეძლება მთებიდან ჩამოვიტანოთ ათასობით ტონა ყუათიანი საკვები.

რაიონში არის კოლმეურნეობები, რომლებსაც ახლაც შეუძლიათ თავი დაიჩინონ საკუთარი საკვებით, ხორცისა და მლეთის მეურნეობებს შეესანიშნავი მთის სათიბები აქვთ, საჭიროა მხოლოდ მათი სრულად გამოყენება და არა იოლი გზით სიარული, როცა ათასობით მანეთი იხარჯება უბრალო ნამჯის შესაძენად, რაც აძვირებს პროდუქციას, მძიმე ტვირთად აწევს ფერმებს.

საქმის ინტერესები მოითხოვს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ყოველი ფორმა გამოიყენოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრათ საკვები ბაზის საკითხები ისე, რომ არსებულ ფართობებზე ვინახავდეთ გაციელებით მეტ პირუტყვს, ვიდრე ახლა გვყავს.

საკუთარი წარმოების მეცხოველეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი გადიდება შეუძლებელია პირუტყვის სულადობის, კერძოდ, დედაპირუტყვის სულადობის გაუზრდელად. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა გავზარდოთ დედაპირუტყვის რაოდენობა სულ მცირე 60 პროცენტამდე მაინც.

დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონისათვის შესაფერისი ცხვრის ჯიშის გამრავლებას. როგორც ცნობილია, მთიელთა-გუდამაყრის მეცხვარეები ოდითგანვე თუშურ ცხვარს აშენებდნენ, რომელსაც არა მარტო დიდი საწარმოო ღირებულება, არამედ მომთაბარეობის რთული პირობების ატანის დიდი უნარიც აქვს. მეტისურმა ცხვარმა ყველგან როდი გაამართლა დანიშნულება, ამიტომ კოლმეურნეთა მოთხოვნა — აღვადგინოთ თუშური ცხვარი — საფუძველს მოკლებული არ არის, მით უმეტეს, რომ თუშური ცხვარი მეტისურზე ნაკლებ შემოსავალს როდი იძლევა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გულისტკივილი, რასაც ქართველი მწყემსები გამოთქვამენ ცხვრის გადასარეკი ტრასის გამო, რომელიც წლითიწლობით ვიწროვდება და ველურ აკმაყოფილებს ნორმალური გადარეკვის პირობებს. საჭიროა გავაფართოოთ არტეზიული ჭების ქსელი, მეტი ყურადღება მივაქციოთ მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამ საქმის სათავეში პარტიული ორგანიზაციები და კომუნისტები უნდა იდგნენ. ვიცოდეთ ყველა ადამიანის ჭირი და ლხინი, ვიპოვნოთ მათი გულის გასაღები — აი თვითეული ჩვენგანის უპირველესი მოვალეობა.

საჭიროა დაჩქარდეს ფერმათა ელექტრიფიკაცია და შემდგომი კეთილმოწყობა, რათა შორეულ ნოღაეთში მყოფი მწყემსები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც შინ, მშობლიურ სოფელში.

ერთი საკითხიც. ჩვენი რაიონის მეურნეობები სახელმწიფოს ხორცს აბარებენ პირველ და მეორე კვარტალში, მაშინ როცა ცხვრის ფარები გადასარეკ ტრასაზეა და გასუქების საშუალება არ არის. ამრიგად, სახელმწიფო კარგავს ათობით ტონა ხორცს და მატყლს, ხოლო კოლმეურნეობები დაახლოებით 82 ათას მანეთს. ამის გამოსწორება შეიძლება, თუ კი საგეგმო ორგანოები გაითვალისწინებენ ჩვენი რაიონის მეურნეობათა თავისებურებას და ეკონომიურ მდგომარეობას.

რაიონის მეცხოველეები სიხარულით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მეცხოველეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მეცხოველეობის პროდუქტებზე ახალი ფასების დაწესებას. უბრალო გაანგარიშებით ცნობილი გახდა, რომ რაიონის მეურნეობები მარტო მატყლის მიყიდვით წელიწადში დამატებით მიიღებენ 233 ათას მანეთ შემოსავალს.

ცხვრის ათასიანი ფარები ამჟამად გაფანტულია მთიულეთ-გუდამაყრის, ფშავისა და ხევსურეთის მთებზე.

გაჩაღდა ბრძოლა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის.

წარმატებით გავანაღდოთ პარტიის მიერ დასახული საბრძოლო პროგრამა, ახალი გამარჯვებით შევხვდეთ სკკპ XXIV ყრილობას, საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს!

არ. შადური,
საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი

ᲠᲐᲖᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ?

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲕᲐᲚᲨᲘ

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სარეწველო სამინისტროებს, ქარხნების დირექტორებსა და პარტიულ ორგანიზაციებს გამოიჟეონ საწარმოებში არსებული შესაძლებლობანი იმისათვის, რომ გაადიდონ კოოპერაციით სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეგატების, კვანძებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის კლენუმის დადგენილებიდან.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ 69 ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲚᲔᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲓᲐᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ 69 ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲚᲔᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲓᲐᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ 69 ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲚᲔᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪ

მსოფლიო დღეს

სსრ კავშირი მშვიდობის ერთგულია

მსოფლიოს პრესა პრეზიდენტ ნასერის მოლაპარაკების შესახებ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან

მსოფლიოს პრესის ყურადღების ცენტრშია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის გამაღ აბდელ ნასერის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შესახებ.

„კაირო და მოსკოვი ადასტურებენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია, თუ ისრაელმა არ გაიყვანა ჯარები არაბთა ყველა ტერიტორიიდან და გადაუდებლად არ განხორციელდა ღონისძიებანი, რომ შეწყდეს ისრაელის შეიარაღებული თავდასხმები არაბულ ქვეყნებზე“, — ხაზს უსვამს გაზეთი „ალ-გუმჰურია“.

პასუხისმგებლობა ახლო აღმოსავლეთში სამშიო მდგომარეობის შექმნისათვის ეკისრებათ შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებს, რომლებიც გამუდმებით ემარებიან ისრაელს აგრესიული და ექსპანსიონისტური პოლიტიკის განგრძობაში“, — აღნიშნავს გაზეთი „აპბარ ელ-იაუმი“.

ვარშავა. პოლონეთის ყველა გაზეთი დაწვრილებით აშუქებს ან მთლიანად ათავსებს ერთობლივ კომუნიკეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ა. ნასერის სსრ კავშირში ვიზიტისა და ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შესახებ. სათაურებად ბეჭდავენ კომუნიკეს ძირითად დებულებებს. ხაზს უსვამენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა ის, რომ ისრაელმა შეწყვიტოს შეიარაღებული თავდასხმა არაბულ ქვეყნებზე, გაიყვანოს თავისი ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, შეასრულოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ისრაელის აგრესიული პოლიტიკა შესაძლო გახდა იმის მეოხებით, რომ მას გამუდმებით უჭერენ მხარს იმპერიალისტური წრეები, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები. „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დარგებში.

ბუდაპეშტი. „საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ერთნაირი შეხედულებები აქვთ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე“. — ხაზს უსვამს გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ იმ ცნობის სათაურში, რომელიც ეხება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ა. ნასერის მოლაპარაკების საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან.

ბუდაპეშტის ყველა გაზეთი ცნობებში დამთავრებული მოლაპარაკების შესახებ ხაზს უსვამს ორივე მხარის მისწრაფებას გაფართოონ და განამტკიცონ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და თავდაცვითს დარგებში ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

ნიუ-იორკი. ამერიკის პრესა და საინფორმაციო სააგენტოები ვრცლად აშუქებენ ერთობლივ კომუნიკეს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შესახებ.

საინფორმაციო სააგენტოები აშუქებენ კომუნიკეს ძირითად დებულებებს. საბჭოთა კავშირმა და ეგვიპტემ, აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტო, მოითხოვეს, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან, და დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება კიდევ უფრო გააფართოონ თანამშრომლობა „პოლიტიკურ, ეკონომიურ და თავდაცვითს დარგებში“. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ყურადღებას უთმობს კომუნიკეს სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი შეათანხმებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან შემდგომ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმა საჭიროა „ახლო აღმოსავლეთის კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად“.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, ერთობლივ კომუნიკეში „მთავარი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური მოწესრიგების საჭიროებას, რაც საბჭოთა პოლიტიკის პრინციპია“.

რომი. გაზეთი „უნიტა“ პირველ გვერდზე შემოკლებით აქვეყნებს კომუნიკეს ბამალ აბდელ ნასერის სსრ კავშირში ვიზიტის შესახებ. გაზეთი ხაზს უსვამს კომუნიკეს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება შეიძლება უზრუნველყონ მხოლოდ გადუდებელ ღონისძიებათა განხორციელებით იმისათვის, რომ ისრაელმა შეწყვიტოს შეიარაღებული თავდასხმა არაბულ ქვეყნებზე, გაიყვანოს თავისი ჯარები ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან“. (საკდესი).

საკდესის ცნობა

1970 წლის 25 ივლისიდან 25 აგვისტომდე საბჭოთა კავშირში განხორციელდება მატარებელი რაკეტების გაშვება წუნარი ოკეანის აკვატორიის რაიონში, რომელიც იფარგლება 40 საზღვაო მილი რადიუსის წრეწირით, რომლის ცენტრის კოორდინატებია:

ჩრდილოეთის განედის 33 გრადუსი და 00 მინუტი, აღმოსავლეთის გრძედის 173 გრადუსი და 37 მინუტი.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ უშიშროების უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის მთავრობა სთხოვს სხვა ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც საზღვაო და საჰაერო გზებით სარგებლობენ წუნარ ოკეანეში, მისცენ მითითება შესაბამის ორგანოებს, რომ გემები და თვითმფრინავები არ შევიდნენ წუნარ ოკეანის აკვატორიისა და საჰაერო სივრცის ამ რაიონში ყოველდღიურად დღის მეორე ნახევარში 12-დან 24 საათამდე ადგილობრივი დროით.

დემოკრატ იურისტთა კონგრესი

ჰელსინკი, 20 ივლისი. (საკდესი). **აქ დამთავრდა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის მე-9 კონგრესი.**

კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს ზოგადი რეზოლუცია, რომელშიც განსაზღვრეს ასოციაციის ძირითადი მოცანები მომავლისათვის, აგრეთვე რეზოლუციები ევროპის უშიშროების საკითხებზე, ვიეტნამზე, ახლო აღმოსავლეთზე, თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვაზე, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ოკინავის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად, პორტუგალიის კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად, აგრეთვე წერილი იაპონელი ხალხისადმი, ხიროსიმაში ატომური ბომბის აფეთქების 25 წლისთავის გამო, კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა დოკუმენტები.

კონგრესზე გაავრცელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებები ინდოჩინეთში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის გაფართოებასთან დაკავშირებით და ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. კონგრესის მონაწილეები დიდი მოწონებით შეხვდნენ ამ დოკუმენტებს.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის საპატიო პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ბრიტი (ინგლისი), პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს პიერ კოტი (საფრანგეთი), ხოლო გენერალურ მდივნად — ეკე ნორმანი (საფრანგეთი). საბჭოთა კავშირისაგან დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. კარპეცი, მდივნად — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. პ. ბლაშჩენკო.

ჩრდილოეთ ირლანდია

პოლიციური ხელკეტებით შეტაკებანი ბელფასტის ქუჩებში

მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში კვლავ დაძაბულია, ინგლისის სამოშუპაციო ჯარების რიცხვი ყოველდღე იზრდება. ქალაქში მიმდინარეობს მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება.

სურათზე: ასე უსწორდება ინგლისის სამხედრო ხროვა ბელფასტის მცხოვრებთ.

სოლიდარობის კონფერენცია

ვერსალი, 20 ივლისი. (საკდესი). **აქ მუშაობა დაამთავრა ინდოჩინეთის ხალხებისადმი სოლიდარობის საერთაშორისო პროფკავშირულმა კონფერენციამ. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ინიციატივით მოწვეულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.**

კონფერენციის ტრიბუნაზე გამოსულმა ყველა ორატორმა ერთსულოვნად მოითხოვა შეწყდეს ამერიკის აგრესია ინდოჩინეთში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა გაიყვანონ ჯარები ამ რაიონიდან.

საბოლოო სხდომაზე კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს კომისიებში შემუშავებული დოკუმენტები.

კონფერენციის მონაწილეებმა მიმართეს „მსოფლიოს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას, განურჩევლად მათი დარგობრივი, ეროვნული თუ რეგიონალური ხასიათისა, ორიენტაციის და საერთაშორისო კუთვნილებისა, და მოუწოდეს მხარი დაუჭირონ შემდეგ სამართლიან მოთხოვნებს:

— დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის აგრესია ინდოჩინეთში.

— სწრაფად, მთლიანად და პირობის დაუთქმელად გაიყვანონ ამ რაიონიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ჯარები.

— პატივი სცენ ინდოჩინეთის ხალხთა იმ წმიდათა წმიდა უფლებას, რომ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი“.

ინდოჩინეთის მშრომელებისა და ყველა ხალხისადმი მიმართვაში ხაზგასმულია, რომ „ინდოჩინეთის ხალხთა სამართლიანი და წმიდათა წმიდა ბრძოლა — ეს არის საერთაშორისო მუშათა კლასისა და მთელი მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის, საერთო საქმე, რადგან მუშათა კლასის ბრძოლა დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის განუყოფელია მსოფლიოს უკლებლივ ყველა ხალხის ბრძოლისაგან თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელებისა და პროფკავშირებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ დელეგატები დიდად აფასებენ ამერიკის მშრომელთა ფართო საპროტესტო მოძრაობას, რომლებიც მოითხოვენ ნიქსონის მთავრობისაგან შეწყვიტოს ომი ვიეტნამში.

ტელეტაიპის ლენტიდან

20 ივლისი

რუმინეთის მშენებლის დღე

● **ბუქარესტი, 20 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის მშენებელთა ნახევარმილიონნაზე მეტმა არმიამ აღნიშნა გუშინ თავისი დღესასწაული — „მშენებლის დღე“. ამ დღეს მშენებლები აჯამებენ თავიანთი მრავალმხრივი შრომის შედეგებს და სახავენ მომავლის ამოცანებს.**

დიდი წარმატება მოიპოვეს რუმინელმა მშენებლებმა მიმდინარე წელს. ნახევარი წლის მანძილზე მშენებლებმა ხელისპლოატაციოდ გადასცეს 149 სამრეწველო და აგრეტექნიკური ობიექტი, 28.000 ბინა, რომლებიც აგებულია სახელმწიფო ფონდით, და 7.000-ზე მეტი ბინა, აგებული მშრომელთა პირადი დანაზოგით.

ურუგუამელ ოკუპანტებს

● **კაირო, 20 ივლისი. (საკდესი). ორგანიზაცია „ალ-ასიფის“ პალესტინელმა პარტიზანებმა გუშინ რაკეტებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი დაუშინეს უმ-ელ-ვაკადის რაიონში (ორდანია) თავმოყრილ ისრაელის ჯარებს.**

მენის სააგენტოს მიერ გადაცემულ პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენლის განცხადებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ივლისის პირველ ნახევარში „ალ-ასიფის“ პალესტინელმა პარტიზანებმა ისრაელი ოკუპანტების წინააღმდეგ იორდანიაში ხუთი ოპერაცია განახორციელეს, ეწიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

პარტიზანთა წარმატებები

● **ჰანოი, 20 ივლისი. (საკდესი). საიგონის მარიონეტული არმიის 300-მდე ჯარისკაცი გამოიყვანეს მწყობრიდან კამბოჯის პატრიოტული ძალების რაზმებმა 13, 14 და 15 ივლისის წარმატებითი საბრძოლო ოპერაციების დროს კომპონგჩამის პროვინციაში. პატრიოტებმა მოსპეს აგრეთვე 35 სამხედრო მანქანა. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის საინფორმაციო ბიუროს.**

სოლიდარობის დემონსტრაცია

● **ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). ინგლისის დედაქალაქში გაიმართა დაპატიმრებულ ჩრდილოეთირლანდიელებისადმი სოლიდარობის დემონსტრაცია, რომლებიც მოქალაქეობრივ უფლებათათვის იბრძვიან. მიტინგზე, რომელიც მიმდინარეობდა ლონდონის ერთ-ერთი საპატიმროს ახლოს, მისმა მონაწილეებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა ჩრდილოეთირლანდიელი პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის ინგლისის პარლამენტის წევრი ბერნადეტა დევლინი.**

ბ. დევლინს, როგორც ცნობილია, მიუსაჯეს ექვსი თვის პატიმრობა მოქალაქეობრივ უფლებათა დასაცავად გამოსვლისათვის ოლსტერში.

„დანაშაულთა შავი წიგნი“

● **პარიზი, 20 ივლისი. (საკდესი). პარიზის გამომცემლობა „ფაიარმა“ გამოუშვა „ვიეტნამში ამერიკის დანაშაულთა შავი წიგნი“, მომზადებული საფრანგეთის 35 პროგრესული ორგანიზაციის ინიციატივით, რომლებმაც მიმდინარე წლის 10 მაისს მოაწყვეს ეროვნული შეკრება ვიეტნამის დასაცავად. ეს წიგნი შედგება დოკუმენტებისაგან, რომლებიც უცილობლად ცხადყოფენ ამერიკელ აგრესორთა დანაშაულობებს ვიეტნამში. წიგნში ლაპარაკია ფაქტებზე, რომლებიც ეხება 1968-1970 წლების პერიოდს.**

წიგნში ლაპარაკია აგრეთვე ამერიკის აგრესიის სოციალურ შედეგებზე. სოფლების, ნათესების მოსპობის გამო სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობა გარბის ქალაქებში. შიმშილი, სნეულებანი დღევანდელი სამხრეთ ვიეტნამის სინამდვილე გახდა.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, სამშაბათი, 21 ივლისი, 1970 წ.

უნგრელთა მაღლობა

ბუდაპეშტი, 19 ივლისი. (საკდესი) უნგრეთის მინისტრთა საბჭოს საღამოს სხდომაზე მოისმინეს ანგარიში წყალდიდობის შედეგების შესახებ, იიუწყება უნგრეთის დეპეშათა სააგენტო. კომუნიკეში სხდომის შესახებ აღნიშნულია, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უნგრეთის მთავრობამ მადლობა უძღვნეს საბჭოთა კავშირსა და სხვა ძმაძე სოციალისტურ ქვეყნებს დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს უნგრეთის სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში. მადლობა გამოუცხადეს უნგრეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფ საბჭოთა ჯარებს, რომლებმაც თავი ისახელეს სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წყალდიდობით მიყენებული ზარალი, შეადგენს, წინასწარი მონაცემებით, 3,5 მილიარდამდე ფორინტს. განსაკუთრებით ძლიერ დაზიანდა სახლები და სამეურნეო ნაგებობანი. სამუშაოთა კარგი ორგანიზაციისა და მშრომელთა მაღალი დისციპლინის მეოხებით, აღნიშნულია ანგარიშში, დატბორვას გადაარჩინეს 1,5 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწები და ასობით დასახლებული პუნქტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ თუმცა წყალდიდობით მიყენებული ზარალი მნიშვნელოვანია, იგი არ იწვევს განსაკუთრებულ შეფერხებებს ქვეყნის ეკონომიკაში.

სამარცხვინო გადაწყვეტილების წინაღმდეგ

ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). **ინგლისის საზოგადოებრიობა სულ უფრო მტკიცედ გამოდის ინგლისის კონსერვატორული მთავრობის იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ განაახლოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდება.** გუშინ ლონდონის ცენტრში გამართული მასობრივი მიტინგის მონაწილეებმა მკვეთრად დაგმეს კონსერვატორების განზრახვა გააუქმონ იარაღის მიყიდვის ემბარგო. თუ კონსერვატორებმა განაახლეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიყიდვა, განაცხადა ინგლისის პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა კლინტონ დევისმა, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო გადაწყვეტილება ინგლისის ომისშემდგომ ისტორიაში.

„ინგლისის პროფკავშირები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა თავიდან აიცილონ სამხრეთაფრიკელი რასისტებისათვის იარაღის გაგზავნა“, — ხაზი გაუსვა მიტინგზე გამოსულმა „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობის“ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ა. მინტიმ. მან აღნიშნა, რომ ამჟამად პროფკავშირული ორგანიზაციების ლიდერებთან ერთად ეს ორგანიზაცია ადგენს ფორსტერის რეჟიმისათვის თვითმფრინავებისა და სხვა იარაღის მიწოდების ჩაფუშვის გეგმებს.

კონსერვატორთა განზრახვა დაგმეს ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც გამოგზავნეს მრავალი რეზოლუცია ყოველლონური პარტიული კონფერენციის სახელზე, რომელიც სექტემბერში გაიმართება ბლეკპულში.

ჩამოაგდეს თვითმფრინავი

ჰანოი, 20 ივლისი (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო თავდაცვის მებრძოლებმა გუშინ ჩამოაგდეს ამერიკის უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში თხანჰოის პროვინციაში შემოიჭრა.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ეს იყო ამერიკელთა 3.356-ე თვითმფრინავი, რომელიც ჩამოგდებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მორიგი პროვოკაცია

ჰანოი, 20 ივლისი. (საკდესი). **ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა 18 ივლისს ჩამოაგდეს ამერიკის უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სივრცეში ვინლინის პროვინციაში შემოიჭრა.** ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ეს უკვე ამერიკელთა 112-ე თვითმფრინავია, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ 1968 წლის ნოემბერში გამოცხადებული დაბომბვის „შეწყვეტის“ შემდეგ. ხოლო 1964 წლის 5 აგვისტოდან ამერიკელებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაკარგეს 3.355 თვითმფრინავი.

ეს-ეს ზენი „თავისუფალი სამყარო“!

როცა სიცოცხლე გეწვზე ჰკიდია

● **ამერიკის შეერთებულ შტატებში იარაღით მოვაჭრენი ყოველ წელს სამ მილიონამდე რევოლვერს, შაშხანას და სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლ იარაღს ჰყიდიან კერძო პირებზე. გაყიდული იარაღის ნაწილი ხელში უვარდებათ ბანდიტებსა და განგსტერებს.**

ბანდიტიზმის ტალღა ისე ფართოდ მოედო ამერიკას, რომ დიასახლისებიც კი იძულებულნი ხდებიან იარაღს მოკიდონ ხელი, რათა თავი დაიცვან ძარცვისა და ძალადობისაგან.

სურათზე: ამერიკელი დიასახლისები სროლაში ვარჯიშობენ.

● **ძალადობა თანამედროვე ამერიკის ცხოვრების დამახასიათებელი გახდა. ამერიკელთა ერთ ნაწილში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ეგრეთწოდებული „ავტომანქანათა დამტვრევის ჩემპიონატები“, როცა 30 ავტომანქანა მიჰქრის ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და შეჯახებისას იმტვრევა. მაყურებელთა დიდ აღტაცებას იწვევს შემთხვევა, როდესაც რომელიმე ავტომანქანას ცეცხლი მოედება და მძღოლი სიცოცხლის რისკით გამოდის ალმოდებული მანქანიდან.**

სურათზე: „ავტომანქანათა დამტვრევის ჩემპიონატის“ ერთ-ერთი ეპიზოდი.

ფოტო „უბერნ“-ახალი ამბების სააგენტოსი.

საერთაშორისო მიმოხილვა

ინგლისი: დოკერები იბრძვიან

რაგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისის ხელისუფლების სათავეში კონსერვატორთა მოსვლამ კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი ბრძოლები ქვეყანაში. 15 ივლისს დაიწყო დოკერთა საყოველთაო გაფიცვა. პირველად 1926 წლის საყოველთაო გაფიცვის დროიდან მუშაობა შეწყდა ლონდონის, ლივერპულის, ჰულის, გლასგოს, ბრისტოლისა და სხვა ნავსადგურებში. გაფიცვაში ჩაება 47 ათასი ნავსადგურის მუშა, რომლებიც შედიან ინგლისის ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა უდიდეს პროფკავშირში, ესე იგი ქვეყნის დოკერთა დიდი უმრავლესობა.

გაფიცვის უშუალო მიზეზი ის იყო, რომ მეწარმეებმა უარი თქვეს დაეკმაყოფილებინათ დოკერთა მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ. უკანასკნელ წუთს, ცდილობდნენ რა ჩაეფუშათ გაფიცვა, მეწარმენი დათანხმდნენ უმნიშვნელო დათმობებზე, მაგრამ დოკერთა კონფედერაციამ და პროფკავშირის ხელმძღვანელობამ უარი თქვა და არ მიიღო ეს დათმობანი, დოკერებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ თავიანთი მოთხოვნების სრული დაკმაყოფილებისათვის.

ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ცდილობს ყველაფერი გაფიცულებს გადაბრალოს, ამასთან არაფერს ამბობს იმაზე, რომ დოკერები წლინახევრის განმავლობაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ხელფასის მომატების შესახებ. მალავენ იმ ფაქტსაც, რომ ცხოვრება ინგლისში განუწყვეტლივ ძვირდება.

კონსერვატიული მთავრობა, რომელიც სავსებით უჭერს მხარს მეწარმეებს, ემზადება გაფიცვის ჩასახშობად. შემოღებულია საგანგებო წესები, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს ჯარისკაცები გამოიყენოს ნავსადგურებში სამუშაოდ. იფასებს რა დოკერთა გაფიცვის მნიშვნელობას, გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“ წერს: „როგორც ჩანს ახლა დაიწყო ძალების დიდი გამოცდა, და მინისტრები აღიარებენ, რომ ბევრი ამას მიიჩნევს პრეცედენტად მეწარმეებისა და მუშების ურთიერთობის მთელი სფეროსათვის“.

ჩადდება კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ომისშემდგომ ინგლისში.

ისრაელი: ფარული დაზმარება

ტელ-ავივის პრესამ ფართო პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ისრაელი აგრესორები გააცოფა იმან, რომ მათ ავიაციას, რომელიც მეკობრულად ესხმის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიას, მნიშვნელოვანი ზარალი მოსდის ეგვიპტის საჰაერო თავდაცვის წარმატებითი მოქმედების შედეგად.

მოთქმა და წუწუნი, რაც ისრაელის დედაქალაქში გაისმის, უთუოდ ჰგავს სხვის სახლში შეპარული მძარცველის გოდებას, რომელიც გაჰკივის მფლველთო, როცა დანაშაულზე წაასწრებენ. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები სასწრაფოდ მიეშველნენ „დაჩაგრულ“ აგრესორს. მათ სრულიადაც არ აწუხებთ ის გარემოება, რომ ისრაელი, თავხედურად უარს ამბობს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, განაგრძობს დაპყრობილი არაბული ქვეყნების ოკუპაციას, ავაზაკურად ესხმის თავს სირიას, ლიბანს, იორდანიასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა, როგორც ამერიკის პრესა იუწყება, მიიღეს გადაწყვეტილება ისრაელს დამატებით გაუგზავნონ „ფანტომის“ ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების პარტია“ სუეცის არხის ზონაში ჩამოგდებული თვითმფრინავების ნაცვლად“. ამ თვეში გაუგზავნიან რვა თვითმფრინავს, შემდეგ კიდევ ორ-ორს ყოველთვიურად განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები ისრაელს გადასცემს უახლეს ელექტრონულ მოწყობილობის 130 კომპლექტს.

საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილება ისრაელისათვის ახალი მიწოდების შესახებ პენტაგონს არ გამოუცხადებია ოფიციალურად: პრეზიდენტმა ნიქსონმა წერს ეურნალი „ნიუსუიკი“, „პენტაგონს მისცა საიდუმლო ბრძანება“.

ისრაელის მიერ ატეხილი აურზაურის მიზანია, წერს პარლონური გაზეთი „ეოლნეე ვოლნოსტი“ „კვამლის საფარით შენიღბოს ისრაელისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ტექნიკის მიწოდება“.

ინდოეთი: შეტევა რეაქციაზე

ამ დღეებში ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვა წარმოთქვა მასობრივ მიტინგზე ქალაქ სრინგარში — ჯამოსა და კაშმირის შტატის დედაქალაქში. მან განაცხადა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა ქვეყნის კონსტიტუციაში შეიტანოს შესწორებანი, რათა ბოლო მოეღოს რეაქციული რელიგიურ-თემური ძალების ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ასეთი გადაწყვეტილება აიხსნება იმით, რომ ინდირა განდის მთავრობის საქმიანობა ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებისა და ხალხის ფართო მასების საარსებო დონის გაუმჯობესების გზაზე ამ ბოლო ხანს აწყდება ინდოეთის რეაქციის ძალების მზარდ წინააღმდეგობას.

„ჯან სანგჰისა“ და „შივ სენის“ ტიპის რელიგიურ-შოვინისტური პარტიები და ორგანიზაციები ცდილობენ რა ჩაფუშონ მთავრობის პროგრესული ღონისძიებები, სპეკულაციური მიზნით იყენებენ მოსახლეობის ჩამორჩენილი ნაწილის ეროვნულ გრძნობებსა და რელიგიურ ცრურწმენას და პროვოკაციულად აწყობენ ინდუისტებისა და მაჰმადიანების სისხლისმღვრელ შეტაკებებს. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში ამ ორგანიზაციებმა მაჰარაშტრის შტატში პროვოკაციულად მოაწყვეს არეულობანი, რამაც რამდენიმე დღეს გასტანა. ამ უწესრიგობათა შედეგად დაიხოცა დაახლოებით 150 კაცი. ინდოელებს ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ შარშანდელი ამბები, როცა გუჯერათის შტატში ინდუისტ მაჰმადიანთა შეტაკებების შედეგად, რომლებიც მემარჯვენეებმა მოაწყვეს, დაიხოცა და დაშავდა რამდენიმე ასეული კაცი.

„შივ სენის“ მეთაური ბალ თაკრე აშკარად აცხადებს, რომ იგი ნაცისტური იდეოლოგიის მომხრეა. 1966 წელს შექმნილი „შივ სენი“ განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს ინდოეთის უდიდეს სამრეწველო ცენტრ ბომბეიში, ცდილობს გათიშოს მუშათა მოძრაობა, მოწამლოს მისი რიგები შოვინიზმით.

„ჯან სანგჰს“ ჰყავს თავისი გამსამხედროებული რაზმები, რომლებიც ცნობილი არიან „რაშტრია საიამსევაკ სანგჰის“ სახელწოდებით. ამ აშკარა ფაშისტური ორგანიზაციის წევრები სპეციალურ სამხედრო მომზადებას გადიან: მათ ასწავლიან თუ როგორ გაუსწორდნენ სხვაგვარად მოაზროვნეებს. ამ ორგანიზაციის წევრმა ვაჟბატონებმა უკვე დიდხანია მოიზეპეს დაქირავებული მკვლელების სახელი. ამ ორგანიზაციის წევრმა ფანატიკოსმა 1948 წელს მოკლა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მაჰათმა განდი.

ინდოეთის პროგრესული პრესა ხაზს უსვამს, რომ რეაქციულ რელიგიურ-თემურ ძალებს მხარს უჭერენ მონოპოლისტური წრეები. ისინი ხელს უწყობენ საერთაშორისო იმპერიალიზმს, რომელიც ცდილობს ძირი გამოუთხაროს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიურ სუფთაქველსა და ეროვნულ ერთიანობას. ინდოეთის საზოგადოებრიობას სულ უფრო მეტად ეშინია ქვეყანაში მემარჯვენე ორგანიზაციების გააქტიურებისა. ი. განდის გამოსვლა სრინგაგრის მიტინგზე მოწმობს, რომ მთავრობა აპირებს განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი, რათა, ბოლოს და ბოლოს აღკვეთოს ამ ორგანიზაციების ძირგამომთხრელი საქმიანობა (საკდესი).

საქართველოს ფოთა-ბარეთი

კარგი თაოსნობა

იწერება ქარხნების, კოლმეურნეობების ისტორია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომმა გადაწყვიტა განაცხადრიცხელოს მ. გორკის კეთილშობილური წამოწყება ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შექმნის თაობაზე.

გაიმართა ზესტაფონის ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი. საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვერულაშვილი თათბირის მონაწილეებს ეცნობა საწარმო-დაწესებულებათა ისტორიის შექმნის მნიშვნელობასა და ამ კარგი საქმის კონკრეტულ საკითხებზე.

ბევრგან უკვე დაიწყეს ეს საშვილიშვილო საქმე. გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის საფუძვლიანი ისტორია დაწერა ამავე ქარხნის დირექტორის მოადგილემ მ. თუთბერიძემ, შესანიშნავი წარსული აქვთ სოფლების სვირის, ალავერდის, ფუთის კოლმეურნეობებს, ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის საქარხანა და აჯამეთის საცდელ სადგურებს, ქალაქის პირველ საშუალო სკოლას და სხვ..

◆

ახალ განაკში

საჩხერე. (საკ. კორ.). საუცხოო კურორტია კვერეთი. აქ ახალ კორპუსში შენებელთა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გახსნა პიონერთა ახალი ბანაკი, სადაც ერთდროულად 120 პიონერი ისვენებს. სულ კი იგი წელს 400 ბავშვს უმასპინძლებს.

ასეთი საპატიო წოდება და გამარჯვებულის დიპლომი მეორედ მოიპოვა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტმა სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო დათვალიერებაში.

არსებობის ათი წლის მანძილზე უნივერსიტეტმა დედაქალაქის 58 ორგანიზაციიდან ექვსასზე მეტი მსმენელი მიიზიდა. აქედან 112 მუშაა, 420-ს უმაღლესი განათლება აქვს. მსმენელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი 140-კაციანი სამეცნიერო მეთოდური საბჭო და 30 კათედრა.

საუკეთესო სახალხო უნივერსიტეტი

სახალხო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა, მიეკედნეობის ფორმები და მეთოდები მრავალფეროვანი და საინტერესოა. მსმენელი სამი წლის განმავლობაში (სასწავლო წელი 1 ოქტომბრიდან ივნისის ბოლომდე გრძელდება), ყოველ მეორე თუთშაბათს, მიისწრაფვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სხდომათა დარბაზისაკენ, სადაც დაარსდა და მუშაობს სახალხო უნივერსიტეტი. აუდიტორიის წინაშე გამოდიან გამოჩენილი მეცნიერები, პოეტები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მსახიობები. სწავლებაში იყენებენ თვალსაჩინოების საშუალებებს — ილუსტრაციებს, ლიტერატურულ კომპოზიციებს, მხატვრულ კითხვას, უსმენენ მუსიკას, ესწრებიან სპექტაკლებს.

— საკავშირო დათვალიერებაში მოპოვებული მაღალი ჯილდო მეტს გვავალებს, — თქვა სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა პ. კეკელიძემ. — ჩვენი მუშაობის გამოცდილება და თაოსნობა ზღვარი როდია. რექტორატი და სამეცნიერო საბჭო ახალი სასწავლო წლის სამზადისშია — ეს არის სკკპ XXIV ყრილობისათვის, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის დაარსების 50 წლისთავისათვის საიუბილეო მზადების პერიოდი.

გ. მანია.



თიანეთის რაიონი, სიონის ჭყალსაცავის მიდამოები.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სეზონური ქრონიკა

□ **ახალციხის** რაიონის კულტურის სახლთან არსებული საესტრადო ბრიგადა „მესხეთი“, რომლის პროგრამაშია ქართული ხალხური ცეკვები, სიმღერები, სკეტჩები და პიესები, ქედის რაიონს ესტუმრა.

ბრიგადამ კონცერტები გამართა ქედის სოფლებში.

ალ. ანანიძე

□ **ვანი.** (საკ. კორ.). ამას წინათ ვანის მუსიკალურ სკოლაში შეიქმნა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ხაჩინო“ (ხელმძღვანელი ჯ. მიმინოშვილი), რომელმაც უკვე გამართა პირველი კონცერტები, მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა ვაჟთა ვოკალურ კვარტეტს.

ბ. ჩხაიძე.

□ ამ დღეებში საინგილოში კახის ქართული სასოფლო კულტსახლში გვესტუმრნენ საქართველოს საესტრადო და საცირკო ხელოვნების სასწავლებლის II კურსის სტუდენტები. მათ ადგილობრივ მაყურებელს უწევნეს საკონცერტო პროგრამა „პირველი ნაბიჯები“, რომლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ გ. ქართველიშვილს.

მაყურებელმა კონცერტი გულთბილად მიიღო. ინგილოებს დიდი სურვილი გვაქვს, ხშირად ჩამოვიდნენ საინგილოში საქართველოდან... ნუ მოგვაკლებენ ქართული სიმღერისა და ცეკვების მოსმენისა და ნახვის დიდ სიხარულს.

ხ. საკნელაშვილი,
კახის ქართული სასოფლო კულტურის სახლის დირექტორი.

□ **უამრავი** ხალხი შეიკრიბა ახმეტის სტადიონზე. აქ თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს ა. გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“.

ახმეტელებმა გულთბილად მიიღეს სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. გელოვანი, აკ. ვერულეიშვილი, დ. ციცქიშვილი, ლ. ცხვარიშვილი.

ლ. ესართია,

ნ. მამეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვრჩი მომღერალი

კონცერტი ერევანში

ვერც კი შევამჩნიეთ, უეცრად როგორ წამოიზარდა „ნარინჯოვანი გოგონა“, როგორც მას სიყვარულით შეარქვეს ყველგან, სადაც მისი სიმღერა მოუსმენიათ.

წამოიზარდა ირმა სოხაძე და თანდათან უფრო დაიხვეწა მისი შესრულების მანერა, გაიზარდა ხმის დიაპაზონი, უკვე სხვაგვარად აღიქვამს ირმა სიმღერას. უფრო ღრმა, ემოციური მისი მიდგომა მუსიკისადმი. უკან დარჩა შიში, ეჭვები იმის გამო, შეინარჩუნებდა თუ ვერა ირმა ხმას? ხომ არ იყო ის მხოლოდ „ბავშვური საოცრება და მეტი არაფერი? — სასიამოვნოა, რომ ირმა ამკვიდრა ბეგრად უკეთ მღერის. გვაოცებს მისი პროფესიონალიზმი. ყველაფერი ეს ირმამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, როცა ერევნის კომპავშირის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით სომხეთში გაემგზავრა. დიდი წარმატება ხვდა კონცერტს, რომელიც მთლიანად ირმას მიაყავდა. ტელევიზიის საესტრადო ანსამბლს ხელმძღვანელობდა გივი გაჩიჩილაძე. შესრულებულ იქნა 20 სიმღერა სხვადასხვა ენაზე, სიმღერა სხვადასხვა ხასიათის, განწყობილებისა და ჟანრისა. მაყურებელი დაინებით ითხოვდა თითქმის ყველა ნომრის გამეორებას. ნორჩმა მომღერალმა ერევნელები მოხიბლა ქართული სიმღერების ღრმა ემოციურობითა და ლირიკული სისადავით.

კომპოზიტორმა ვ. შაინსკიმ რამდენიმე სიმღერა უძღვნა ნორჩ მომღერალს. ირმამ დიდი შთაგონებით შეასრულა რუსი კომპოზიტორის „კენგურუ“, „რატომ“, „რუსული ტყე“, „მერცხალი“.

ერევანში კონცერტზე საინტერესოდ აქღერდა ელა ფიცჯერალდის რეპერტუარიდან ჯაზური კლასიკის ვოკალური ნიმუშები „ნისტერ პაგანინი“ და „ციკვები საკოიში“.

ასევე ბრწყინვალედ იმღერა ირმამ ბახ-გუნოს „ავე მარია“, ჯონ ლენონის „გუშინ“, შარლ აზნავურის „დიდის ხსოვნას“, იტალიური, იაპონური, ინდური „მეექსიკური სიმღერები. კონცერტის უკანასკნელი აკორდი იყო სომხური ხალხური სიმღერა „მიყვარხარ“. ერევნელებმა მეუხარე ოვაცია მოუწყეს ირმა სოხაძეს, რომელმაც დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მათ. კონცერტის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ტელევიზიის საესტრადო ანსამბლმა, რომლის შემადგენლობაში უკრავდნენ ა. რაქვიაშვილი (როიალი), თ. ყურაშვილი (კონტრაბასი), გ. სიმონიშვილი (საქსოფონი) და სხვები. საღამო მიჰყავდა სომხეთის სსრ დამსახურებულ არტისტს ვიორგი სარქისიანს.

მადლიერების ნიშნად რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ვაჟან ხორენიანმა დახატა ირმა და პორტრეტი ბეთჰოვენის ნიღბამთან ერთად საჩუქრად უძღვნა მას. კონცერტის შემდეგ სომხეთის კულტურის მინისტრმა გ. უდუმიანმა ყვავილების თაიგული მიუტანა ნორჩ მომღერალს და მადლობა გადაუხადა შესანიშნავი კონცერტისათვის. ირმას მიუძღვნეს ლეტსები, ყვავილები, ათასგვარი საჩუქარი, სთხოვდნენ ავტოგრაფებს. სომხეთის კომპავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასცა სიგელი „ოვალურ ხელოვნებაში დიდი წარმატებისათვის“. ქართველი მომღერალი აირჩიეს სომხეთის კომკავშირის საპატიო წევრად, დაათვალიერებინეს ერევნის ღირსშესანიშნაობანი. ყველგან გულთბილად, სიყვარულით ხვდებოდნენ. სთხოვეს, რომ მომავალში მისი კონცერტები სომხეთში ტრადიციული გახდეს. რა თქმა უნდა, ირმა სიხარულით დათანხმდა მასპინძელთა მიპატიჟებაზე.

ნ. ჯაფარიძე,

* * *

სურათზე: ირმა სოხაძე ერევნის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის ხცენაზე.

ადამიანი და ბუნება

ნუკრი გადაარჩინა

მთიდან ბარში ბრუნდებოდა შუახევის რაიონის კინოქსელის ბუღალტერი ჯ. მაკარაძე. გზაზე იგი ასეთ სურათს წააწყდა. მგელს შვლის ნუკრი დაეჭირა და ის იყო უნდა დაეგლიჯა. ჯილალს ჯიბის დანაც კი არ ჰქონდა, რომ მხეცისაგან თავი დაეცვა. მაგრამ იგი მაინც არ შედრკა, ქვებს წამოავლო ხელი და ყვირილით მხეცს დაუშინა. მტაცებელმა ადამიანთან შებმას გაქცევა ამჯობინა.

ჯილალმა დაკბენილი, დასუსტებული ნუკრი შვილივით აიყვანა და სახლში წაიყვანა. გულკეთილ და გაბედულ ადამიანს გადაწყვეტილი აქვს, როგორც კი გამომჯობინდება, ნუკრი ნაკრძალს დაუბრუნოს.

ზ. ვახტანგაძე.

საერთაშორისო შეხვედრები

საბჭოთა კავშირში ტურნეს განაგრძობს პოლონეთის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მორიგი საერთაშორისო შეხვედრა სტუმრებს ჰქონდათ სიმფეროპოლში უკრაინის ნაკრებთან, რომელიც დაკომპლექტებული იყო „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების ფეხბურთელებით. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-18 წუთზე. გოლის ავტორი იყო შოლტისეკი. მე-40 წუთზე კუტინმა წონასწორობა აღადგინა. საბოლოოდ ფრე — 1:1.

ვროცლავ ლეგიონერების „ზარია“, რომელმაც ყველაზე ადრე დაამთავრა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე, ტურნესათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეწვია. პირველი საერთაშორისო შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ როსტოკში საკლუბო გუნდ „ჰანსთან“ და დამარცხდნენ 0:1.

ჭადრაკის მერიდიანებზე

ამსტერდამში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ვაჟთათვის. გათამაშდა 4 ტური. ერთპიროვნული ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი, რომელსაც 3 ქულა აქვს. ორნახევარ-ორნახევარი ქულა აქვთ მსოფლიოს ჩემპიონს ბ. სპასკის, ს. გლიგორიჩსა (იუგოსლავია) და ვ. ულმანს (გდრ), 2 ქულა — ე. გელერს.

დებრეცენის ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა 12 ტური. ლიდერია საბჭოთა მოჭადრაკე, ოსტატი ვ. სავონი, რომელსაც 8,5 ქულა აქვს.

მარცხი პირველი წრის ფინიშთან

„არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი) 3:0 (1:0). ერევანი. 20 ივლისი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ვ. რუდნევი (მოსკოვი).

„არარატი“ — რაზინსკი (დემირჩიანი), ოვანესოვი, აბრამიანი, კოვალენკო, მესროპიანი, მელქონიანი, ბონდარენკო, იშტოიანი, კაზანჯიანი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

„დინამო“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, გაგაშელი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია (კუტუბაძე) ლ. ნოდია.

პირველი წრის ფინიშთან ამ მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერთა ჯგუფისწარმომადგენლის თბილისის „დინამოსათვის“. სამწუხაროდ, სწორედ აქ წაიბორძიკეს დინამოელებმა, წააგეს შეხვედრა მშრალი ანგარიშით 0:3.

დასაწყისში თბილისელებს მეტოქის კარის აღება ორი კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. ერთხელ მეკარე რაზინსკიმ იხსნა თავის გუნდი, მეორეჯერ კი კოვალენკომ ღია კარში მიმავალი ბურთს მოუსწრო. თანდათანობით ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ და ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე აიღეს სტუმრების კარი. გოლის ავტორი იყო კაზარიანი.

მოსალოდნელი იყო, რომ მეორე ნახევარში დინამოელები გარდატეხას შეიტანდნენ თამაშში. მოხდა პირიქით, ინიციატივას მთლიანად ერევნელები დაეუფლნენ. მათ დამატებითი ორი ბურთი გაიტანეს (კაზარიანი, ბონდარენკო) და გაიმარჯვეს 3:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში წარმატება დინამოელებს ხვდათ 1:0. (ილიადი).

რამდენიმე სტრიქონით

◆ **კუნაულ** სიციალიაზე მესინაში დაიწყო კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. პირველი მატჩი საბჭოთა კალათბურთელებს ჰქონდათ საფრანგეთის გუნდთან და გაიმარჯვეს 51:30.

◆ **ავსტრალიელმა** სპორტსმენმა ქალიშვილმა კარინ მორასმა ედინბურგში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე 800 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 9 წუთში და 2,45 წამში და ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა.

წარუმატებელ ოლიმპიადა. უკანასკნელ მატჩებში ქუთაისის ტორპედოელთა საბურნირო მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ამიტომ მათს გუშინდელ მატჩს ლენინგრადში აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან — „ზენიტთან“ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

მასპინძლებმა ეს შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს. მათ პირველ ტაიმშივე მიაღწიეს წარმატებას— ორი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. მეორე ნახევარში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ანგარიში კი არ შეცვლილა, გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 2:0.

„ზენიტს“ წარმატება ხვდა აგრეთვე დუბლიორთა მატჩშიც 1:0.

ქუთაისის „ტორპედო“ — ლენინგრადის „ზენიტი“

მატჩები და შედეგები

კვირას მოსკოვში თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს დინამოელებმა.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი“ და „ტორპედო“. წარმატება სპარტაკელებს ხვდათ 2:0.

ბიმბის დინამოელები ამჯერად ბაქოს „ნეფტჩის“ მასპინძლობდნენ. შეხვედრის შედეგია 3:1 კიეველთა სასარგებლოდ.

დონის როსტოვში თამაშობდნენ ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბისა და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

მაჩჩი მინსკში დონეცკის „შახტიორისა“ და მინსკის „დინამოს“ გუნდებს შორის დამთავრდა „შახტიორის“ გამარჯვებით 1:0.

ჩემპიონატის აუტსაიდერი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“ საკუთარ მოედანზე შეხვდა ოდესის „ჩერნომორეცს“ და გაიმარჯვა 4:1.

გამარჯვებამ დამარცხებისაგან ვერ გვიხსნა

დიუსელდორფში დამთავრდა ევროპის „ბ“ ზონის ფინალური ასპარეზობა ჩოგბურთში დევისის თასზე. უკანასკნელი დღისათვის სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების მატჩის შედეგი იყო 2:1 გერმანელთა სასარგებლოდ. შეხვედრის ბედი დამოკიდებული იყო ერთეულთა ბოლო ორ შეხვედრაზე. გამარჯვებისათვის საბჭოთა ჩოგბურთელებს ორივე უნდა მოეგოთ, მაგრამ მოსკოველმა ვ. კორონკოვმა მეორეჯერ წააგო ერთეულთა მატჩი, ამჯერად ჯ. კუნკესთან 1:6, 1:6, 7:5, 2:6. მართალია სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა ორივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, საერთო გამარჯვება დასავლეთ გერმანელ ჩოგბურთელებს ხვდა 3:2.

ქუთაისის ბაზრობა

გთავაზობთ

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

პირველი წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„დინამო“ (მ.)	16	9	4	3	23-10	22
„დინამო“ (თბ.)	16	8	5	3	22-11	21
„დინამო“ (კ.)	16	9	3	4	20-12	21
ცსკა	16	8	3	5	23-10	19
„სპარტაკი“ (მ.)	16	6	7	3	27-15	19
სკა (როსტ.)	16	5	9	2	11-7	19
„ტორპედო“ (მ.)	16	7	5	4	16-14	19
„არარატი“ (ერ.)	16	7	4	5	15-13	18
„ნეფტჩი“ (ბ.)	16	5	6	5	16-12	16
„ზარია“ (ვ.)	16	5	6	5	8-14	16
„დინამო“ (მნ.)	16	4	5	7	17-18	13
„შახტიორი“ (დ.)	16	4	5	7	14-25	13
„ტორპედო“ (ქ.)	16	2	8	6	8-15	12
„ზენიტი“ (ლ.)	16	4	4	8	16-25	12
„პახტაკორი“ (ტ.)	16	3	6	7	9-25	12
„ჩერნომორ.“ (ო.)	16	3	5	8	10-19	11
„სპარტაკი“ (ორჯ.)	16	2	5	9	16-26	9

დრო და კალენდარი

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ქობულეთელ შორენა და გია ზოიძეებსა და გურჯაანელ შოთა ქუთათელაშვილს აინტერესებთ ისეთი საკითხების გარკვევა, რომლებიც წელთაღრიცხვასთან, დროის საზომთან, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ — კალენდართან არიან დაკავშირებული.

ისინი კითხულობენ, რატომ არის სხვაობა ძველსა და ახალ სტილს შორის, რითი ხსნიან ან რა დროიდან არის ასეთი განსხვავება. მათ აგრეთვე აინტერესებთ, თუ როგორაა წელთაღრიცხვა ჩვენსა და სხვა ქვეყნებში, რომელ სახელმწიფოში როგორი წელთაღრიცხვაა მიღებული, არის თუ არა განსხვავება თვეებსა, თვის რიცხვებსა და დღეებს შორის.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი გიორგი ჩიტაია.

ამ შეკითხვებზე ჩვენი პასუხი იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ დროის საზომი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და ჩვენს ხანაშიც სხვადასხვაგვარი ყოფილა და დღესაც არის.

პირველყოფილი ადამიანისათვის დროის საზომად თავდაპირველად დღე-ღამე იყო მიჩნეული. იმ დროის დღე-ღამეს თითების მისეფვით ითვლიდნენ (ამაზე მიგვანიშნებს ფრანგული სიტყვა დეკადა — ათეული).

შემდეგში სამეურნეო საჭიროებასთან შეფარდებით დროის საზომი დაუკავშირდა მზის მოძრაობის ციკლს და „წელიწადი“ ორად განაწილდა, რაც კარგად ჩანს ქართული სიტყვებიდან ზა-ფხული (უდრის — მზე ცხელი) და ზა-მთარი (უდრის— მზე ცივი). წლის არეები გაზაფხული და შემოდგომა შემდეგში გაჩნდა.

ამის შემდეგ კიდევ უფრო დანაწევრდა სამეურნეო კალენდარი მნათობთა მოძრაობასთან დაკავშირებით და სხვადასხვა ხალხში ჩამოყალიბდა დროის განმსაზღვრელი სისტემები მზის, მთვარის, სხვა მნათობთა მოძრაობაზე დაკვირვების შედეგად.

დღეს კარგად არის ცნობილი უძველესი შუმერული სამეურნეო კალენდარი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ იქნა აღმოჩენილი (ძველი თარიღდება ძვ. წ. 1800 წლით), აგრეთვე ძველი ეგვიპტური, ბაბილონური, ჩინური და სხვა კალენდრები. ძველი კალენდრების გაუმჯობესების საფუძველზე გამომუშავდა ახალი და უახლესი კალენდარის სისტემები.

ამჟამად მსოფლიოში წელთაღრიცხვის რამდენიმე ძირითადი სისტემა მოქმედებს, რომელთაგან თვითეული ან მზის ან მთვარის, ან კიდევ მზისა და მთვარის მოძრაობის შერწყმის საფუძველზეა დამყარებული.

ეს უკანასკნელი სისტემა, დაფუძნებული რთულ ასტრონომიულ გაანგარიშებაზე, რომლის მიზანია შეათავსოს მზის წელიწადი მთვარის ფაზებთან. წელთაღრიცხვის ეს სისტემა ეწოდებოდა ებრაელებშია მიღებული.

წელთაღრიცხვის მეორე სისტემა, რომელსაც მუსლიმანური კალენდარი ანუ ჰიჯრა (არაბული სიტყვა. ნიშნავს გაქცევას) ეწოდება, დამყარებულია მთვარის მოძრაობაზე, მის ფაზებზე. ამ კალენდარის მიხედვით წელიწადი შეიცავს 354 დღე-ღამეს, ხოლო წელთაღრიცხვის დასაწყისად აღიარებულია ჩვენი წელთაღრიცხვის 722 წლის 16 ივლისი, პარასკევი. ამ დღეს მუსლიმანური რელიგიის დამაარსებელი მაჰმადი, გადმოცემის მიხედვით, არაბეთის ქალაქ მეკიდან ქალაქ მედინაში გაიქცა, სადაც შექმნა მუსლიმანთა პირველი უჯრედი. წელთაღრიცხვის ეს სისტემა მიღებულია ისეთ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია მუსლიმანური რელიგია, თუმცა ზოგიერთი ამგვარი სახელმწიფო ამ ბოლო ხანებში გადავიდა საერთაშორისო კალენდარზე.

იმის გამო, რომ წელთაღრიცხვის ეს სისტემა ძალზე დამორებულია ამქამად ხმარებაში მყოფ საერთაშორისო წელთაღრიცხვის სისტემას, გაძნელებულია ამ სისტემით წლების, თვეებისა და დღეების გადაყვანა საერთაშორისო სისტემის წლებსა, თვეებსა და დღეებზე. და პირუკუ. ამისათვის იყენებენ სამაისოდ შედგენილ საგანგებო სინქრონულ ნუსხებს, რომლებშიც გამოანგარიშებულია მუსლიმანური და გრიგორიანული კალენდრის წლების, თვეებისა და დღეების ერთურთთან შეფარდება. მოვიყვან ორ მაგალითს.

ჰიჯრის 1 წელი უდრის გრიგორიანული კალენდრის 622 წელს, ხოლო ჰიჯრის პირველი თვე (მუჰარამი) და ამავე თვის პირველი დღე — 16 ივლისს, პარასკევს, ხოლო ჰიჯრის 1390 წლის 1 თვის 1 დღე — 1969 წლის ივლისის 26, სამშაბათს.

ამჟამად მსოფლიოში საერთაშორისო წელთაღრიცხვის სისტემად აღიარებულია ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებული ის სისტემა, რომელიც დამყარებულია მზის წლიურ მიმოქცევაზე, ხოლო წლების რიგის სათვალავად აღიარებულია ქრისტეს დაბადების მითიური თარიღი.

ცნობილია, რომ მზის წლიური მიმოქცევა (ტროპიკული) უდრის 365 დღე-ღამეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს. ძველი დროიდანვე ასტრონომები ცდილობდნენ, რომ არ ყოფილიყო გარღვევა მზის ზუსტ მიმოქცევასა და კალენდრით დადგენილ დროის საზომს შორის. ეს სიძნელე დღემდე დაძლეული არ არის.

რომის იმპერატორმა იულიუსმა, ეგვიპტელი ასტრონომის სოზიგენის დახმარებით, ძვ. წ. 46 წელს, გარღვევის დაძლევის მიზნით, დაარეცხა 365 და 366 დღეღამიანი წელიწადი. 365 დღეღამიან წელიწადს ყოველ ოთხ წელიწადში ემატებოდა ერთი დღე. ასეთ დამატებით დღედ აღიარებული იყო თებერვლის ოცდამეცხრე დღე. ამასთანავე ეს მეოთხე წელიწადი ნაკიან წელიწადად იწოდებოდა, ხოლო წლების რიგის სათვალავი იწყებოდა ძმების რომულისა და რემის მიერ ქალაქ რომის მითიური დაარსების დღიდან — ძვ. წ. 754-753 წლიდან.

ქრისტიანულმა ეკლესიამ წელთაღრიცხვის ეს სისტემა მიიღო და ნიკეის საეკლესიო კრების (ახალი წელთაღრიცხვის 325 წელს) გადაწყვეტილებით იგი დაკანონა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წლების თვლა იწყებოდა ქრისტეს დაბადებიდან. აქედან წარმოიშვა წლების აღრიცხვის ქრისტიანული ქვეყნები ისევ იულიუსის კალენდარს იყენებენ. ძველი სტილით ანგარიშობს ქართული ეკლესიაც. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ქართულმა ეკლესიამ გამოიმუშავა წელთაღრიცხვის ისეთი სისტემა, ქორონიკონად წოდებული, რომელიც დამყარებულია ცის მნათობთა ციკლურ ბრუნვაზე. ეს ციკლი 532 წელი. ყოველ 532 წლის შემდეგ მნათობები იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც ეს იყო ციკლის დასაწყისში. ეს სისტემა მყარ დასაყრდენს წარმოადგენს მოძრავი საქრისტიანო დღესასწაულების დასადგენად. ქართულ კალენდარში ეს ციკლი, ქორონიკონი — იწყება 249 წელს, მომდევნო 781 წელს, შემდეგ 1312 წელს და სხვ. ამჟამად ქართული მეხუთე ქორონიკონის 135 წელია. ვინც ეს სისტემა არ იცის, ვერაფერს გაუგებს ქართულ ხელნაწერებს.

ამჟამად გრიგორიანული კალენდარი თავისი ახალი სტილით მიღებულია საერთაშორისო ხმარებაში. იგი მიღებულია საბჭოთა კავშირშიც და დაკანონდა 1918 წლის 26 იანვრის დეკრეტით. ამ დეკრეტის მიხედვით 1918 წლის პირველი თებერვალი გამოცხადდა 14 თებერვლად.

როგორც დავინახეთ, წელთაღრიცხვის დღეს არსებული არც ერთი სისტემა სრულყოფილი არ არის. ჩვენს გლობალურ ხანაში, როდესაც უაღრესად გაადვილებულია კომუნიკაციები და ინფორმაცია დედამიწის სულ მცირე კუნჭულებთანაც კი — საჭირო და აუცილებელია ზუსტი, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული, ყველასათვის მისაწვდომი დროის საზომი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო ორგანოებში წლების მანძილზე მუშაობენ ამ მიმართულებით და უნდა მოველოდეთ, რომ მიგნებული იქნება დროის საზომის გონივრული საყრდენი.

გიორგი ჩიტაია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ო. ა. ბიბილეიშვილი დანიშნა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. თ. ს. კინწურაშვილი გაათავისუფლა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. (საქდესი).

რადიო

22 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — უკრავს საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი, 11.45 — დვორეკაკი. რომანსი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 12.10 — ახალგაზრდობისათვის. ნარკვევი „შეხვედრა პოლონელ მეგობრებთან“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ა. შავერზაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 17.00—უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.30 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური“, 18.10 — მღერის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“, 18.45 — ტ. გობის კონცერტი, 19.15 — შ. აზმაიფარაშვილი. ნაწყვეტები საორკესტრო სიუიტიდან „ძველი თბილისის სურათები“, 19.45 — ა. აკერკინი. სიმღერები, 20.30 — რადიოფურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“. ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — კონცერტი ბახის ნაწარმოებებიდან, 22.00 — „მწერალი მიკროფონთან“, 22.50 — ს. ცინცაძე. ნაწყვეტები ოპერეტა „აბლაბუდადან“, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

21 ივლისი

11.15 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „შეხვედრები“ (პირველი და მეორე სერია), 13.15 — ბავშვებისათვის — „ახალგაზრდული ფესტივალი“ საქართველოს სსრ „მოსწავლის დღე“ — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მოღვაწეთა გამოფენაზე (ვადმოცემა მოსკოვიდან), 13.45 — ექიმის საუბარი, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — ბავშვებისათვის — „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“, 18.40 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ვასკა და გველას შხამი“ — ქართულ ენაზე, 19.00 — სომხეთის ტელევიზიის პროგრამა, 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ქუთაისი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების —